

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო  
საბიუჯეტო კომისიის სხდომის  
ოქმი №69

24 მაისი 2024 წ.  
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე, ლევან დავითაშვილი, ავთანდილ ცინცაძე, არჩილ გორდულაძე, აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე.

**მოწვეული სტუმრები:**

საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

სსიპ ქონების მაქრთვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე

**სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.**

**კომისიის სხდომა უფლებამოსილია.**

**სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

**№11-01241341907 საკრ.№15-032413471-03 (13/05/24) №11-01241234179 საკრ.№15-032413415-03 (13/05/24)**

**№11-01241372231 საკრ.№15-032413765-03 (16/05/24) №11-01241423075 საკრ.№15-032414268-03 (21/05/24)**

**№11-01241441956 საკრ.№15-032414496-03 (23/05/24)**

2. ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების მიმოხილვის შესახებ. **საკრ.№12-0324117175-03 26/04/24**

3. ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N19 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.019) და ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N335 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.002.306.01.07.335) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№15-032413419-03 13/05/24**

4. ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N30 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.030) და ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N325 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.002.306.01.07.325) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№15-032413418-03 13/05/24**

5. ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N39 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.039) ; ქ. თბილისში, ზედაზუნის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე N64 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.11.037.115.01.01.064) და ქ. თბილისში, წულუკიძის ქ. N15-ში მდებარე ბინა N77 (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.012.158.01.01.077) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№15-03241349-03 13/05/24**

6. ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N77 და N121 ბინების (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.077; N01.12.12.001.414.01.01.121) და ქ. თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევი N2/ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე N29 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.10.10.020.214.01.01.029) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№15-03241345-03 13/05/24**

7. ქ. თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N24ა-ში მდებარე N33 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.10.06.006.217.01.01.033) და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N179 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.12.003.170.01.01.179) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№15-03241343-03 15/05/24**

8. ქ. თბილისში, ანნა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N27 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.394.01.01.027) და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N143 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.12.003.170.01.01.143) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№15-032413417-03 13/05/24**

9. ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N508 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.11.10.010.033.01.01.508); ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში მდებარე N12 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.008.153.02.01.012) და ქ. თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N30ბ-ში მდებარე N9 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.02.020.019.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№15-03241348-03 15/05/24**

10. ქ. თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N66 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.066) და ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N328 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.002.306.01.07.328) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№15-032412343-03 13/05/24**

11. ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N305 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.11.10.010.033.01.01.305), ქ. თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე N31 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.11.037.115.01.01.031), ქ. თბილისში, რამაზ შენგელიას ქ. N3-ში მდებარე N1ა ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.11.13.002.448.01.01.001ა) და ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N59 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.059) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№15-03241347-03 15/05/24**

12. ქ. თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N15 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.015) და ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრადის ქ. N34-ში მდებარე N74 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.19.36.015.031.01.01.074) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№15-03241342-03 15/05/24**

13. ქ. თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N21-ში მდებარე N43 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.72.14.014.049.01.01.043); ქ. თბილისში, ოსიპ მანდელშტამის ქ. N2გ-ში მდებარე N148 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.008.155.01.01.148) და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N123 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.12.003.170.01.01.123) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№15-03241346-03 15/05/24**

14. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: 01.72.14.013.429.01.555) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე **საკრ.№15-032413416-03 14/05/24**

15. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრ.№15-032414140-03 20/05/24**

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (შარტავას ქუჩა) **საკრ.№15-032413414-03 13/05/24**

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-032414370-03 23/05/24**

18. „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№15-03241344-03 15/05/24**

19. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ. **საკრ.№15-03241341-03 15/05/24; №12-032414452-03 23/05/24**

20. „ქალაქ თბილისში, თ. ჩანტლაძის (ყოფილი ახვლედიანი) კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.001.004.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№15-03241116143-03 26/04/24**

21. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდები: N01.19.20.020.135 და N01.19.20.020.069) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრ.№15-03241116143-03 26/04/24**

22. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრ.№12-032414374-03 23/05/24**

### **დღის წესრიგი დამტკიცდა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

**საკითხი წარმოადგინა ლევან მიქავამ.** მისი მოხსენებით, წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რაიონული გამგეობების, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მოთხზნილი კვარტალური ცვლილებები. მათ შორის მეორე კვარტლის გეგმა იზრდება შემდეგ პროგრამებში:

„გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში“ (პროგ/კოდი:01 01 09) -100 000 ლარით.

„გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში“ (პროგ/კოდი:01 01 12) -500 000 ლარით.

„გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში“ (პროგ/კოდი:01 01 15) -1639400 ლარით.

„კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში“ (პროგ/კოდი: 02 09 11)- 620720 ლარით.

„კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში“ (პროგ/კოდი: 02 09 16)- 1184 000 ლარით.

„კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში“ (პროგ/კოდი: 02 09 17)- 414200 ლარით.

„კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში“ (პროგ/კოდი: 02 09 19)- 206400 ლარით.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (დახმარება)დაფინანსება ვაკის რაიონში (პროგ/კოდი:05 01 12)- 1 000 000 ლარით.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (დახმარება)დაფინანსება დიდუბის რაიონში (პროგ/კოდი:05 01 10)- 150 000 ლარით.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (დახმარება)დაფინანსება გლდანის რაიონში (პროგ/კოდი:05 01 08)- 1000 000 ლარით.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (დახმარება)დაფინანსება მთაწმინდის რაიონში (პროგ/კოდი:05 01 17)- 220 000 ლარით.

„სტუდენტთა დაფინანსება“ (პროგ/კოდი07 05 03)- 300 000 ლარით.

„სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება“ (პროგ/კოდი 06 01 04)- 337 000 ლარით.

„გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება“ (პროგ/კოდი 06 01 05) 625 000 ლარით, შებამასად მცირდება „ტრანსპლანტაცია“ (პროგ/კოდი 06 01 13). სხვა დანარჩენ პროგრამებში თანხების გადმოტანა ხდება მომდევნო კვარტლის გეგმიდან.

ლევან მიქავამ ისაუბრა კვარტალური ცვლილებების მიზეზებზე, ასევე სხვა ცვლილებებზე მ.შ წლიურ გეგმაში. საერთო ჯამში გადასახდელების მეორე კვარტლის გეგმა ჯამში იზრდება 7 039 792 ლარით, რაც ბალანსდება შემოსავლების მეორე კვარტლის გეგმის გაზრდისა და ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური და რაიონული გამგეობები ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთან უმრავლესობამ გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-

ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა** საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

**მოისმინეს:** ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

**გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების მიმოხილვა მომზადებულია მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონის გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 471,185.9 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 389,135.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 82.6%

**შემოსავლები** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 3 თვის გეგმა 457,285.9 ათასი ლარი, ფაქტიურად 367,354.4 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 80.3% და მთლიანი - შემოსულობების 94.4% შეადგინა.

**გადასახადების** სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 156,716.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (163,315.5 ათასი ლარი) 96%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 149,124.8 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 7,592.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც თითქმის თანაბრად ქონების და დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის<sup>1</sup>, მათ შორის: ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 5,150.4 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია - 3,630.2 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია - 1,036.0 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 484.1 ათასი ლარი

**გრანტები** საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 120,913.4 ათასი ლარი (სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები),

**სხვა შემოსავლები** საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 73,662.7 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 89,724.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 121.8%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 74,461.5 ათასი ლარი) შედარებით 15,262.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელზე, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელზე, სანქციებზე (ჯარიმები და საურავები) მოდის და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებზე

**არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე** პერიოდში ჩარიცხულია 21,778.8 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 15,444.2 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 14,294.3 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 1,133.5 ათასი ლარი, მანქანა დანადგარები და ინვენტარი - 14.4 ათასი ლარი, სხვა ძირითადი აქტივები - 2.0 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 2.0 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 6,332.6 ათასი ლარი.

**ვალდებულებების ზრდის სახით** საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 2.2 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებების და შემოსულობა საგარეო - წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სახაზინო კოდექსზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების ზრდას).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა** - 199,946.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (243,361.0 ათასი ლარი) 82.2%-ია;

**ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება** - 51,428.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (67,000.9 ათასი ლარი) 76.8%-ია;

**ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** - 46,197.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (78,268.9 ათასი ლარი) 59%-ია;

**ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** - 540.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (905.6 ათასი ლარი) 59.7%-ია;

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** - 5,382.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (5,385.0 ათასი ლარი) 99.96%-ია;

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 36,429.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (41,655.0 ათასი ლარი) 87.5%-ია; თ განათლება - 49,541.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (79,711.6 ათასი ლარი) 62.2%-ია;

**კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - 10,424.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (21,550.0 ათასი ლარი) 48.4%-ია;

**საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - 1,062.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (5,197.4 ათასი ლარი) 20.4%-ია;

**ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** - 48,370.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (68,695.9 ათასი ლარი) 70.4%-ია.

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების მიმოხილვის შესახებ.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N19 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.019) და ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N335 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.002.306.01.07.335) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორია წარმოადგენს დაუსრულებელ მშენებლობას, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემაა ამ მშენებლობით დაინტერესებული პირებისთვის. ეს მშენებლობა ითვალისწინებდა გარკვეულ პირთა საცხოვრებელი დასაკმაყოფილებლად მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენებას. მშენებლობის მწარმოებლად განისაზღვრა შპს „ამირანი“ (ს/ნ: 208153996), რომლის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო ღონისძიებები გაჭიანურდა. შემდგომ პერიოდში მიღებული, მუნიციპალური ორგანოების და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, აღნიშნულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლებიც, ამ დაუსრულებელი ობიექტის ნაწილში ითვალისწინებდა მშენებლობის გაგრძელების და მისი დასრულების ვალდებულებას. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულებები მოიშალა და მშენებარე ობიექტი დარჩა დაუსრულებელ მდგომარეობაში. დღეისათვის, ობიექტში რეგისტრირებულია როგორც ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული ფართები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და შპს „ამირანის“ (ს/ნ: 208153996), საკუთრებად რეგისტრირებული ფართები.

მშენებლობით დასრულებით დაინტერესებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით, დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის შემთხვევაში სასურველი იქნებოდა აღნიშნული ობიექტის დასრულება, თუმცა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 8 ნოემბრის N16-0123312454 წერილობითი პოზიციის მიხედვით, ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების მიმდებარედ არსებული ინტენსიური/მჭიდრო განაშენიანების გათვალისწინებით, ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება და მისი კიდევ უფრო გამჭიდროება არ არის მიზანშეწონილი. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქის განვითარების პროცესში პრიორიტეტულია მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული გარემოს არსებობა და უზრუნველყოფა. შესაბამისად, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ს მიმდებარედ არსებული ინტენსიური მრავალბინიანი განაშენიანებისა და გადატვირთული საგზაო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორია შესაძლებელია ჩაითვალოს არაოპტიმალურ სამშენებლო ობიექტად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში, იმ პირთა მიმართ, ვისთვისაც მისაღებია მათთვის შეთავაზებული ალტერნატიული ფართები, განიხილება სანაცვლოდ სხვა საცხოვრებელი უძრავი ქონების გადაცემის საკითხი. აღნიშნული პირები წარმოადგენენ იმ მესაკუთრეებს რომლებსაც, ამ სამშენებლო ობიექტში ფართები საკუთრებაში რეგისტრირებული აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებების საფუძველზე. ასევე, ის პირები, ვისაც, რაიმე გარიგებით და სხვა სამართლებრივ საფუძველზე აქვთ საკუთრებაში მიღებული

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შემოსვენებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ფიზიკურ პირთა საკუთრებად დარეგისტრირებული ასეთი ფართები. ამასთან, სანაცვლო ფართები გადაეცემათ ყიფშიძის ქ. N5ბ-ში არსებულ ფართების მიღებასთან დაკავშირებით ამ ფართების მიმღებ პირთა მხრიდან რაიმე შესასრულებელი ვალდებულებების მიუხედავად, ასეთი ვალდებულებების შესრულების გარეშე (ასეთი ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში).

მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემ ფართებად განიხილება კერძო სამშენებლო კომპანიების მიერ აშენებულ/მშენებარე ობიექტებში თბილისის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირებული ფართები. ეს ფართები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში მიღებული აქვს სამშენებლო კომპანიებისგან, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების მე-16<sup>1</sup> და მე-16<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიებებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 განკარგულებით განსაზღვრული მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების სანაცვლოდ. შესაბამისად, აღნიშნულ კომპანიებსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამონაცვლებად განისაზღვრებიან ქონების შემდეგები.

საკითხის განხილვისას, გათვალისწინებული იქნება ფართების საბაზრო ღირებულებები. ამასთან, მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართები და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასდეს ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდინციის მქონე უძრავი ქონება.

შემოსვენებული პრინციპის გათვალისწინებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 08.05.23წ. N003045023 დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში (ს/კ: N01.14.14.003.143) მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 10.06.23წ. N003971823 დასკვნით, ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც განიხილება აღნიშნულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 69.40 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.051) შესაკუთრემ, ბორის გვარჯალაძემ (პ/ნ: 01017017275) და მის საკუთრებად რეგისტრირებული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე 58.90 კვ.მ. ფართობის N19 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.019) და ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე 66.20 კვ.მ. ფართობის N335 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.002.306.01.07.335) საკუთრებაში გადაცემა.

შემოადინებული დასკვნებით, ბორის გვარჯალაძის საკუთრებაში არსებული ფართის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.003.143.01.051) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 270868.2 (ორას სამოცდაათი ათას რვაას სამოცდარვა ლარი და ოცი თეთრი) ლარის ოდენობით, ხოლო თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების: N01.17.07.024.079.01.01.019 და N01.17.10.002.306.01.07.335 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა შესაბამისად - 119920 (ას ცხრამეტი ათას ცხრაას ოცი) ლარის და 146898 (ას ორმოცდაექვსი ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 266818 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნული პირისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და მის ფართზე მისი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

#### **მომხრე-8**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N30 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.030) და ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N325 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.002.306.01.07.325) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით**, საკითხი არის წინა საკითხის ანალოგიური. ამ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 122 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.02.022) მესაკუთრეებმა - გივი მეტრეველმა (პ/ნ: 01008003285) და მანანა მეტრეველმა (პ/ნ: 01008003284) და აღნიშნული ფართის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე 49.40 კვ.მ. ფართობის N30 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.030) და ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე 184.38 კვ.მ. ფართობის N325 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.002.306.01.07.325) თანასაკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნული პირების თანასაკუთრებაში არსებული 122 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.02.022) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 476166 (ოთხას სამოცდათექვსმეტი ათას ას სამოცდაექვსი) ლარის ოდენობით; თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების: N01.17.07.024.079.01.01.030 და N01.17.10.002.306.01.07.325 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა შესაბამისად - 100578 (ასი ათას ხუთას სამოცდათვრამეტი) ლარის და 375398 (სამას სამოცდათხუთმეტი ათას სამას ოთხმოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 475976 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად თანასაკუთრებაში გადაცემას და მათ ფართზე მათი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

#### **მომხრე-8**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N39 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.039); ქ. თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე N64 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.11.037.115.01.01.064) და ქ. თბილისში, წულუკიძის ქ. N15-ში მდებარე ბინა N77 (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.012.158.01.01.077) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით**, წარმოდგენილი საკითხიც, წინა საკითხის ანალოგიურია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 105 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.036) მესაკუთრეებმა - დინარა კემულარიამ (პ/ნ: 01008003253), მერაბ თევზაძემ (პ/ნ: 01008004316) და ნინო თევზაძემ (პ/ნ: 01008017746) და აღნიშნული ფართის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N39 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.039); ქ. თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე N64 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.11.037.115.01.01.064) და ქ. თბილისში, წულუკიძის ქ. N15-ში მდებარე ბინა N77 (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.012.158.01.01.077) თანასაკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნული პირების თანასაკუთრებაში არსებული საკუთრებაში არსებული 105 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.036) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 409815 (ოთხას ცხრა ათას რვაასთხუთმეტი) ლარის ოდენობით; თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების: N01.17.07.024.079.01.01.039; N01.12.11.037.115.01.01.064 და N01.17.10.012.158.01.01.077 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა შესაბამისად - 119920 (ას ცხრამეტი ათას ცხრაას ოცი) ლარის; 108237 (ას რვა ათას ორას ოცდაჩვიდმეტი) და 176880 (ას სამოცდათექვსმეტი ათას რვაას ოთხმოცი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 405037 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნული 105 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.036) მესაკუთრედ დარეგისტრირებული პირისთვის - მერაბ თევზაძისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და აღნიშნულ ფართზე მისი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

#### **მომხრე-8**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N77 და N121 ბინების (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.077; N01.12.12.001.414.01.01.121) და ქ. თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I

შესახვევი N2/ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე N29 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.10.10.020.214.01.01.029) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 122 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.039) თანამესაკუთრებმა: გურამ მაგლობლიშვილმა (პ/ნ: 01017024744), ზურაბ მაგლობლიშვილმა (პ/ნ: 01017002506), ნინო შარაშენიძემ (პ/ნ: 01017024752), ნუცა უნგერმა (პ/ნ: 01017041686), სალომე მაგლობლიშვილმა (პ/ნ: 01017027964) და აღნიშნული ფართის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინაუს ქ. N3-ში მდებარე N77 და N121 ბინების (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.077; N01.12.12.001.414.01.01.121) და ქ. თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევი N2/ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე N29 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.10.10.020.214.01.01.029) თანასაკუთრებაში გადაცემა.

ზემოაღნიშნული დასკვნებით, აღნიშნული პირების თანასაკუთრებაში არსებული 122 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.039) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 476166 (ოთხას სამოცდათექვსმეტი ათას ას სამოცდაექვსი) ლარის ოდენობით; თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების: N01.12.12.001.414.01.01.077; N01.12.12.001.414.01.01.121 და N01.10.10.020.214.01.01.029 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა შესაბამისად - 189968 (ას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარის, 189968 (ას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარის, 92628 (ოთხმოცდათორმეტი ათას ექვსას ოცდარვა) ლარის ოდენობით (ჯამურად: 472564 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად თანასაკუთრებაში გადაცემას და მათ ფართზე მათი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

**მომხრე-8**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N24ა-ში მდებარე N33 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.10.06.006.217.01.01.033) და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N179 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.12.003.170.01.01.179) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 69.40 კვ.მ. ფართის (ს/კ: 01.14.14.003.143.01.057) მესაკუთრემ, ეკატერინა ბოგინმა (პ/ნ: 65002000994) და მის საკუთრებად რეგისტრირებული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქ. თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N24ა-ში მდებარე N33 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.10.06.006.217.01.01.033) და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N179 ბინის (მშენებარე) (ს/კ: 01.17.12.003.170.01.01.179) საკუთრებაში გადაცემა.

ეკატერინა ბოგინის საკუთრებაში არსებული ფართის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.003.143.01.057) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 270868.2 (ორას სამოცდაათი ათას რვაას სამოცდარვა ლარი და ოცი თეთრი) ლარის ოდენობით, ხოლო თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების: N01.10.06.006.217.01.01.033 და 01.17.12.003.170.01.01.179 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა შესაბამისად - 172417 (ას სამოცდათორმეტი ათას ოთხას ჩვიდმეტი) ლარის და 95159 (ოთხმოცდათხუთმეტი ათას ას ორმოცდაცხრამეტი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 267576 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნული პირისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და მის ფართზე მისი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

**მომხრე-8**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N27 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.394.01.01.027) და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N143 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.12.003.170.01.01.143) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე



**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 69.40 კვ.მ. ფართის (ს/კ: 01.14.14.003.143.01.053) მესაკუთრემ, თენგიზ გიორგაძემ (პ/ნ: 01008012652) და მის საკუთრებად რეგისტრირებული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქ. თბილისში, ანნა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე 57.70 კვ.მ. ფართობის N27 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.394.01.01.027) და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე 48.60 კვ.მ. ფართობის N143 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.12.003.170.01.01.143) საკუთრებაში გადაცემა.

თენგიზ გიორგაძის საკუთრებაში არსებული ფართის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.003.143.01.053) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 270868.2 (ორას სამოცდაათი ათას რვაას სამოცდარვა ლარი და ოცი თეთრი) ლარის ოდენობით, ხოლო თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების: N01.14.05.008.394.01.01.027 და N01.17.12.003.170.01.01.143 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა შესაბამისად - 173215 (ას სამოცდაცამეტი ათას ორას თხუთმეტი) ლარის და 95159 (ოთხმოცდათხუთმეტი ათას ას ორმოცდაცხრამეტი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 268374 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნული პირისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და მის ფართზე მისი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

#### **მომხრე-8**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.**

